სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

27/02/2025

MES 3 25 0000214923

სსიპ –საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (რიგგარეშე შიდა მობილობა) შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების” (240 კრედიტი) სტუდენტებს, საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის ვადის ამოწურვის გამო, 2024 - 2025 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან მიეცეთ რიგგარეშე შიდა მობილობის წესით უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის უფლება, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართონ ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტს;
2. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტს;
3. სტუდენტთა რიგგარეშე შიდა მობილობის წესით საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის პროცესების წარმართვა დაევალოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს, ზ.ბუაჩიძეს;

4. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის მიერ ,,სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ“ დასკვნების მომზადება (დანართი 1) და უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (რიგგარეშე შიდა მობილობა) შესახებ ბრძანების პროექტის (დანართი 2) სასწავლო პროცესების მართვის სამსახურში წარდგენის ვადა განისაზღვროს არაუგვიანეს 2025 წლის 4 მარტისა;
5. 2024-2025 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (რიგგარეშე შიდა მობილობა) შესახებ ბრძანება გამოიცეს არა უგვიანეს 2025 წლის 5 მარტისა;
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე–რექტორს თ.წერეთელს;
7. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
9. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს შესაბამისი ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებამ;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

ვიცე-რექტორი
წერეთელი თამარ